

პირველადი ჰანდაცვის გამოწვევები საქართველოში

თანხიზ ვერულავა

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
tengiz.verulava@iliauni.edu.ge

საპანძო სითყვაბი: ობახის ექიმი, პირველადი ჰანდაცვა, საქართველო

შესავალი

ჭანდაცვის სისტემის ორგანიზაციულ მოწყობაში პირველადი ჭანდაცვას განსაკუთრებული როლი ეკისრება. „პირველადი ჭანდაცვა“ პაციენტის პირველი კონტაქტია ორგანიზებულ სამედიცინო მომსახურებასთან. იგი ერთგვარი „მეცარიბჭეა“ ჭანდაცვის სისტემაში. პირველადი ჭანდაცვის ექიმი ახდენს დაავადების პირველად შეფასებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში პაციენტს მიმართვას ექიმ-სპეციალისტებთან.

პირველადი ჭანდაცვის მეშვეობით პაციენტზე წარმოებს მიმდინარე და უწყვეტი მეთვალყურეობა. ექიმი პაციენტს ხანგრძლივად, მთელი სიცოცხლის მანძილზე აკვირდება. შედეგად, ექიმმა კარგად იყის თუ როგორ ჩამოყენებისა და კონკრეტულ პაციენტს დაავადება, როგორ მიმდინარეობს იგი. ასეთი ცოდნა კი მას საშუალებას აძლევს მართოს დაავადება.

პირველადი ჭანდაცვის კიდევ ერთი გამორჩეული ნიშანია ყოვლისმომცველობა, კერძოდ, ოჯახის ექიმი ზრუნავს პაციენტის არა მარტო ფიზიკურ, არამედ სულიერ და სოციალურ კეთილდღეობაზეც. ამით განსხვავდება იგი ექიმ-სპეციალისტებისაგან, რომლებიც მხოლოდ ცალკეულ დაავადებათა მურნალობას ეწევიან.

ჭანდაცვა როგორი სისტემაა. პაციენტს უძნელდება, იცოდეს, თუ რა სახის სამედიცინო სერვისები ჩაიტაროს. ამ მხრივ, პირველად ჭანდაცვას აქვს მაკორდინირებული ფუნქცია. ოჯახის ექიმი კოორდინაციას უწევს პაციენტების სამედიცინო მომსახურებას და გვევლინება როგორც მისი ქომაგი, მეგზური, კოორდინატორი, რომელსაც შეუძლია დაიცვას პაციენტები, დაეხმაროს მას სამედიცინო მომსახურების სწორად შერჩევაში. ექიმის კოორდინირების ფუნქციის მეშვეობით პაციენტი იღებს შესაბამის სერვისს, შესაბამის დროს და შესაბამის ადგილას (ვერულავა & სხვანი, 2017; Verulava, 2017a).

მკვლევრების აზრით, ქვეყნებში, სადაც სამედიცინო მომსახურების ორგანიზაცია პირველადი ჭანდაცვის მოდელზეა ორიენტირებული, მაღალია ჭანდაცვის სერვისებები მოსახლეობის ხელმისაწვდომობა დაგმაყოფილება, მეტად არის განვითარებული პრევენციული სერვისები, ხასიათდება ჭანმრთელობის უკეთესი მაჩვენებლებით (Starfield, 1998), დაბლია ჭანდაცვის დანახარჯები (Macinko, 2003). ცხადია, რომ ბევრად ადვილი და იაფია დაავადებათა თავიდან არიდება ან მისი განვითარების ადრეულ ეტაპზე აღმოფხვრა, ვიდრე უკვე ჩამოყალიბებული დაავადებების მურნალობა (სმესც, 2005). გამართული პირველადი ჭანდაცვის სისტემის დროს

პაციენტი ცდილობს, თავიდან აიცილოს ძვირადღირებულ ჰოსპიტალურ მცურნალობასთან და მაღალტექნოლოგიურ ჩარევებთან დაკავშირებული ხარჯები (Verulava, 2017b).

საქართველოში პირველადი ჭანდაცვის სისტემის ნაკლებ განვითარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამბულატორიულ სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვათა რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 2.3-ს შეადგენს (ევროპის ქვეყნებში 7.5-მდე აღწევს). პაციენტები პირველადი ჭანდაცვის რგოლის გვერდის, ექიმის დანიშნულების გარეშე ყიდულობენ მედიკამენტებს და ეწევიან თვითმცურნალობას. შედეგად, კატასტროფულად მაღალია ჭანდაცვის მთლიან დანახარჯებში მედიკამენტების ხარჯების წილი (დაახლოებით 40%, მაშინ როდესაც ევროპის ქვეყნებში იგი 10-15%-ს აღწევს).

ოჯახის ექიმის ინსტიტუტის დაბალი განვითარების მიზებითა პირველადი ჭანდაცვის დაწესებულებებისადმი დაბალი ნდობა, ქვეყანაში პირველადი ჭანდაცვის კულტურის არარსებობა (ვერულავა, 2015a). ოჯახის ექიმის ინსტიტუტი და საერთოდ პირველადი ჭანდაცვა ჩვენს ქვეყანაში ვერ განვითარდა იმ სტანდარტებით, რაც უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია არსებობს ბევრ ქვეყნებში (ვერულავა, 2016). ცნობილი გახდა, რომ უახლოეს მომავალში ჭანდაცვის სამინისტრო პირველადი ჭანდაცვის რგოლის რეფორმას გეგმავს, რაც ოჯახის ექიმის როლის გაძლიერებას და სამედიცინო საჭიროებების უფრო ეფექტუარ მართვას გულისხმობს.

პირველადი ჭანდაცვის რეფორმა უპირველესად უნდა ითვალისწინებდეს ოჯახისექიმის ინსტიტუტის განვითარებას. ამისათვის საჭიროა ოჯახის ექიმების უწყვეტისამედიცინო განათლების ხელშეწყობა, პირველადი ჭანდაცვის სისტემის ოპტიმალური გეოგრაფიული განაწილება და ხელმისაწვდომობის გაზრდა, შრომის ნორმალური ანაზღაურების უზრუნველყოფა.

პირველადი ჭანდაცვის რეფორმირებისთვის აუცილებელი ნაბიჯები.

რეფორმირების საწყის ეტაპზე უნდა განისაზღვროს პირველადი ჭანდაცვის სერვისების მიწოდების ორგანიზაციული ფორმები. მრავალი ევროპის გამოცდილებით, პირველადი ჭანდაცვის ორგანიზაციული ფორმებია:

- ოჯახის ექიმის ინდივიდუალური საექიმო პრაქტიკა;
- საოჯახო მედიცინის ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებულია რამდენიმე ოჯახის ექიმით;
- ამბულატორიული კლინიკა ან საავადმყოფოების ამბულატორიული განყოფილება, სადაც ერთდროულად ფუნქციონირებს რამდენიმე სვადასხვა პროფილის სპეციალისტი.

ოჯახის ექიმები უფრო მეტად დამოუკიდებელ პრაქტიკოს ექიმების წარმოადგენენ, რომლებიც მედიცინურთად ქმნიან ერთ გუნდს. მათ საკუთარი ოფისები და საბანკო ანგარიში აქვთ, სადაც ერიცხებათ კუთვნილი ანაზღაურება. საჭიროა ასეთი სქემის განვითარების სტიმულირება. აღნიშვნელი არ გულისხმობს ამბულატორია-პოლიკლინიკების როლის დაქვეითებას, არამედ ქვეყანაში პირველი კანდაცვის სხვადასხვა ორგანიზაციული სქემების მხარდაჭერას. პაციენტებს უნდა მიეცეთ არა მარტო ოჯახის ექიმების, არამედ პირველადი კანდაცვის სხვადასხვა ორგანიზაციულ სქემებს შორის თავისუფალი არჩევის უფლება. აღნიშვნელი ხელს შეუწყობს როგორც ოჯახის ექიმთა, ასევე პირველადი კანდაცვის სხვადასხვა ორგანიზაციულ სქემებს შორის კონკურენციას, რაც, თავისმხრივ, გაზრდის სამედიცინო მომსახურების ხარისხს.

პირველადი კანდაცვის რეფორმ ვერ განხორციელდება სათანადო განათლების ოჯახის ექიმის/ექტნის გარეშე. ამისათვის საჭიროა პერსონალის პროფესიული მომზადების დონის ამაღლება. ამმარივ, ქვეყანაში არსებობენ საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრები, სადაც ხდება ოჯახის ექიმის/ექტნის გადამზადება. თუმცა, ისინი უმეტესწილად ფასინია და ხშირად მასზე ფინანსური ხელმისაწვდომობა დაბალია (ვერულავა, 2015).

სახელმწიფომ, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მასშტაბით შესაფერისი კვალი-ფიკაციის პირველადი კანდაცვის ადამიანური რესურსების საჭირო სიმძლავრის განვითარება (ვერულავა, 2015). ასევე, უნდახდებოდეს სახელმწიფოს მხრიდან ოჯახის ექიმების უწყვეტი სამედიცინო განათლების ხელშეწყობა.

რეფორმა მიმართული უნდა იყოს პირველადი კანდაცვის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის გასაუმჯობესებლად. პირველადი კანდაცვისათვის აუცილებელი ფაზიკური ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა მისი ფუნქციონირების თავისებურებებს და პაციენტების საჭიროებებს უნდა ითვალისწინებდეს. ამ მხრივ, აუცილებელია კანდაცვის სამინისტროს დონეზე განისაზღვროს პჯდ მომსახურების მიმწოდებლების ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობის მიმართ მინიმალური მოთხოვნები, ერთი ოჯახის ექიმის ფუნქციონირებისთვის საჭირო მინიმალური ფართი.

აუცილებელია, არსებული ქსელის დეტალური შესწავლა და ანალიზი, პირველადი კანდაცვის დაწესებულებების მდებარეობის და სამედიცინო პერსონალის თვისებრივი და რაოდენობრივი მასასიათებლების დადგენა.

პირველადი კანდაცვის დაწესებულებების მდებარეობა განისაზღვრება სამედიცინო მომსახურებაზე ოპტიმალური გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის დაცვის პრინციპით, რაც გულისხმობს სერვისების 15-წელიანი ხელმისაწვდომობის ზონაში მიღების შესაძლებლობას. იმ მოსახლეობის-თვის, რომლებიც ცხოვრობენ ნმთებში, ან სოფლებში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა მცირეა, მიზანშეწონილია პირველადი კანდაცვის მობილურიგუნდების შექმნა, რომლებიც გარკვეული პერიოდულობით უახლოესი საოჯახო მედიცინის ცენტრიდან ადგილებზე პირველადი კანდაცვის

მომსახურებას გაწევენ. ამ მხრივ, ჩამოყალიბდება სოფლად ერთგუნდიანი, ხოლო რაიონულ ცენტრებსა და დიდ ქალაქებში ერთი და მრავალგუნდინი პირველადი ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებელი. სამიზნე მოსახლეობასთან პირველადი ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებლების თანაფარდობის გათვალისწინებით (1 ექიმი 2000 მოსახლეები), საქართველოში საჭიროა 2000-2200 ოჯახის ექიმი, და 2300-2500 ბოგადი პრაქტიკის ექტანი. რეფორმის შემდგომ ეტაპზე მიზანშეწონილია ექიმი-ექტნის თანაფარდობის გაზრდა. მცირედ დასახლებულ მაღალმთიან ადგილებში 250-1000 მოსახლეები მიზანშეწონილია 1 ექტანი. 1000-2000 მოსახლეები ერთი საოჯახო მედიცინის გუნდი (1 ექიმი, ერთიექტანი). დამატებითი პირველადი კანდაცვის გუნდი ემატება 1000-2000 მოსახლეები.

პირველადი კანდაცვა ინტერსექტორული ფრაგმენტაციის დაძლევის და სამედიცინო მომსახურების ინტეგრაციის ეფექტური საშუალებაა. ვერტიკალური სახელმწიფო პროგრამების (ტუბერკულოზი, შიდასი...) მართვა არასაკმარისადაა კორორდინირებული. შედეგად, ხშირია საქმიანობის დაბლირება, რესურსების არაეფექტური გამოყენება, ხარჯების ზრდა. ამისათვის საჭიროა ვერტიკალური სახელმწიფო პროგრამების ინტეგრირება პირველადი კანდაცვის დონეზე და მათი შეთანხმებული მუშაობა. ინტეგრაცია ხელს შეუწყობს სამედიცინო მომსახურების უფრო ხარჯთ-ეფექტურად გაწევას.

პირველადი კანდაცვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია საინფორმაციო სისტემის ინფრასტრუქტურის განვითარების, კომპიუტერულ-პროგრამული უზრუნველყოფის ხელშეწყობა. საინფორმაციო სისტემა კონფიდენციალურობის დაცვით სრულად უნდა იძლეოდეს პაციენტის შესახებ კლინიკურ ინფორმაციას (პაციენტის ისტორია). მონაცემთა მოპოვების საფუძვლად განისაზღვრება კანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი სააღრიცხვო და საანგარიშგებოფორმები.

ოჯახის ექიმის ინსტიტუტის განვითარების ხელშესწყობად საჭიროა პირველადი კანდაცვის სამედიცინო პერსონალის ნორმალური ანაზღაურების უზრუნველყოფა. დღეისათვის, საყოველთაო კანდაცვის სახელმწიფო პროგრამით, ოჯახის ექიმის ანაზღაურება ხდება მასთან აღრიცხვაზე მყოფი ბენეფიციარების რაოდენობის მიხედვით. თითოეულ ბენეფიციარზე პროგრამას ყოველთვიურად გამოყოფილი აქვს 1,93 ლარი, რომელიც პირველადი კანდაცვის სამედიცინო დაწესებულებას ერიცხება. სამედიცინო დაწესებულება კი ოჯახის ექიმს ამ თანხის 10-12%-ით აფინანსდს. შესაბამისად, იგი ხელზე საშუალოდ 19-20 თეთრს იღებს, ექტანი კი ამისნახევარს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ერთ ოჯახის ექიმთან დაახლოებით 2000 ბენეფიციარია რეგისტრირებული, მისი ყოველთვიური ხელზე ასაღები ხელფასი 400, ექტანის კი 200 ლარი გამოდის. ცხადია, ასეთი ანაზღაურებით ოჯახის ექიმის ინსტიტუტი ვერ განვითარდება. ოჯახის ექიმის ინსტიტუტი პრესტიული რომ გახდეს, აუცილებელია, სამედიცინო პერსონალის სათანადო ანაზღაურება.

გარდა ამისა, მიზანშეწონილია პირველადი ჯანდაცვის ანაზღაურების კომბინირებული მეთოდების დანერგვა, რაც გულისხმობს სულადობრივი მეთოდის გარდა ანაზღაურების სხვა მეთოდით დაფინანსებას (გაწეული მომსახურების მიხედვით, მიზნობრივ ანზღაურება და ა.შ.). ბრიტანეთის ოჯახის ექიმის დაფინანსება დამოკიდებულია არა მარტო მასთან რეგისტრირებული პაციენტების რაოდენობაზე, არამედ თუ როგორ მუშაობს იგი. ამ შემთხვევაში ექიმები დაინტერესებული არიან გააფართოვონ დიაგნოსტიკური და სამკურნალო მომსახურების სპეციალისტები, უზრუნველყონ სამედიცინო დახმარების უწყვეტობა, წახალისებულია სოფ-

ლად მუშაობა. განსაკუთრებით ყურადსაღებია ექიმების სტიმულირებადი ანაზღაურების მეთოდები ბენეფიციარებზე პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩასატარებლად. ექიმის დაფინანსების მეთოდი წარმოადგენს ჯანდაცვის სერვისების ეფექტურად განხორციელების ერთ-ერთ მთავარ ბერკეტს.

პირველადი ჯანდაცვა სისტემის ფუნდამენტია, რომლის გარეშე შეუძლებელია რაიმეს აშენება. პირველადი ჯანდაცვის გამართულ სისტემაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარისხი, სერვისებისაღმი ხელმისაწვდომობა, ჯანდაცვაზე გამოყოფილი მწირი სახსრების ეფექტური ხარჯება.

ლიტერატურა:

- Macinko J et al (2003). The contribution of primary care systems to health outcomes within Organization for Economic Cooperation and Development (OECD) countries, 1970-1998. *Health Serv Res.*
- Verulava, T., Maglakelidze, T., Jorbenadze, R. (2017a) Hospitalization Timeliness of Patients with Myocardial Infarction. *Eastern Journal of Medicine*, 22 (3): 103-109.
- Verulava, T., Jincharadze, N., Jorbenadze, R. (2017b). Role of Primary Health Care in Re-hospitalization of Patients with Heart Failure. *Georgian Medical News*, 264 (3): 135-139.
- საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი – სმესც (2005). პირველადი ჯანდაცვის არსი, ფილოსოფია და როლი. მომიჯნავე სპეციალობის ექიმების ოჯახის ექიმად გადამზადების სასწავლო პროგრამა.
- Starfield B. (1998). Primary Care. New York, NY: Oxford University Press; 1998.
- ვერულავა, თ. (2015ა). პირველადი ჯანდაცვა სისტემის საძირკველია. ჟურნალი „ლიბერალი“. 17.07.
- ვერულავა, თ. (2015ბ). პირველადი ჯანდაცვის რეფორმისთვის გასატარებელი პოლიტიკის პირველი ნაბიჯები. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). საქართველო.
- ვერულავა, თ., ბეჭვანა, ჭ. (2015გ). სამედიცინო პერსონალის სამეცნიერო – ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემები საქართველოში. სამართალი და ეკონომიკა (6), 74–86.
- ვერულავა, თ. (2016). ჯანდაცვის პოლიტიკა. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ვერულავა, თ., ასრათაშვილი, ა., ქაფიანიძე, შ., წიქორიძე, თ., მიხილაშვილი, ს. (2017). პირველადი ჯანდაცვის ექიმების როლი გულის უკმარისობის პაციენტების ინფორმირებულობის ამაღლებაში. ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 3. ჯანდაცვის პოლიტიკისა და დაზღვევის ცენტრი, 69–73.

CHALLENGES AND PROBLEM IN PRIMARY HEALTH CARE IN GEORGIA

TENGIZ VERULAVA

Academic Doctor of Medicine,

Ilia State University, Georgia

tengiz.verulava@iliauni.edu.ge

KEYWORDS: FAMILY DOCTOR, PRIMARY HEALTHCARE, GEORGIA

SUMMARY

Primary health care has an important role in the organizational arrangement of health care system. Without a fundament of primary health care system it is impossible to build anything. The primary health care system reflects on the quality population health, the availability of health services and the cost of spending on the health care. The family doctor's institute and primary health care system in Georgia have not been developed with regarding international

standards. The lack of primary care system in Georgia indicates that the referral to outpatient medical facilities is considerably lower than the European countries. The reason for this is the lack of confidence in primary care institutions and the absence of comprehensive primary health care system in the country. It is necessary to develop a family doctor's institute in Georgia. This requires the promotion of continuous medical education of family doctors, optimal geographical distribution of primary health care institutions.